ხალგაზრდა ვეფხელი

29 ივნისი შაბათი 1991 № 75 (11708)

1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის განცხადება

1991 წლის 3 ივლისს 11 საათზე ქ. თბილისში, ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს სხდომათა დარბაზში (დ. გულიას ქ. № 13) გაიმართება შეკრება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მოხალისე წევრებისა, რომლებსაც აქვთ წევრობის დამადასტურებელი მოწმობა.

შეკრებაზე განიხილავენ საკითხს ეროვნული გვარდიის წევრების მიერ გაწეული მუშაობისა და შემდგომი ამოცანების შესახებ.

ეროვნული გვარდიის ყველა წევრის დასწრება აუცილებელია.

საქინფორმი

ლაზიშვილის სამრეკლო

საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა საგვარეულო სამრეკლოები (სალოცავები). ეს ტრადიცია ააღორძინა ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის მკვიდრმა ილიას ლაზიშვილმა, რომელმაც თავისთვის აიშენა სამლოცველო, რომელზეც ჯვარია აღმართული.

— სული მთხოვდა, — განგვიმარტა თავისი კეთილშობილური საქციელი მორწმუნე ილიასმა. თუ ეშმარიტად გწამს ღმერთი, ყოველთვის გრძნობ მის დახმარებას და არასოდეს ჩაიდენ ბოროტებას. ღმერთი ლოცავს ადამიანს მართალი და კეთილი საქმეებისათვის.

ლაზიშვილის საგვარეულო სამრეკლოს კარი მუდამ ღიაა ყველა მორწმუნისათვის.

თამაზ გენაძესაძე,
საქინფორმის კორ.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების მომნიჭებელმა კომიტეტმა გამოაცხადა ახალი ლაურეატები. წლეულს ამ ჯილდოს მინიჭება დაემთხვა ეროვნული მუსიკის კლასიკოსის დაბადების 120 წლისთავს.

ახალ ლაურეატთა შორისაა სახელოვანი მომღერალი პაატა ბურჭულაძე, რომელსაც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა მსოფლიო საოპერო სცენებზე ბრწყინვალე წარმატებებისათვის.

ამ პრემიის ლაურეატი გახდა ცნობილი პიანისტი ელისო ვირსალაძე — თელავის კამერული მუსიკის ფესტივალ-სემინარის „ქება ვაზისა“ დაარსებისათვის.

ზაქარია ფალიაშვილის პრემია (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა პოპულარულ კომპოზიტორს რევაზ ლაღიძეს დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულების გამო.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ გორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა ანსამბლი და მისი ხელმძღვანელი შალვა მოსიძე. ეს წოდება მათ დაიმსახურეს ბოლო ორი წლის მანძილზე აქტიური საკონცერტო მოღვაწეობისა და ქართული საგუნდო მუსიკის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

საქინფორმი

მეათე კლასში მეორე ცდით...

საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით იმ მეათეკლასელებს, რომლებიც ჩაიჭრებიან მეათე კლასის მისაღებ გამოცდებზე, მიეცემათ გამოცდების ხელახლა ჩაბარების შესაძლებლობა.

ყმაწვილები გამოცდების ჩაბარებას შეძლებენ 20 აგვისტოდან.

საქინფორმი

ქართველი მეცნიერის ლექციები ამერიკაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი ერთა შორის ურთიერთობის საკითხებში პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე. იგი აქ მოწვეულია ლექციების წასაკითხად ინდიანის, ჩიკაგოს და ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტების მიერ. მისი პირველი შეხვედრა ინდიანის უნივერსიტეტის სტუდენტებთან გაიმართა 18 ივნისს. იგი ესაუბრა ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტებს თანამედროვე ქართული კულტურისა და პოლიტიკური პრობლემების შესახებ. 8 ივლისს გაიმართება ბატონ გიორგის ლექცია თემაზე: „საქართველო, რუსეთი და სსრ კავშირი (მითი და რეალობა)“.

ივლისის შუა რიცხვებში ქართველი პროფესორი ეწვევა ჩიკაგოს უნივერსიტეტს, ხოლო 5 აგვისტოს — ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტს, სადაც შეხვდება ცნობილ ამერიკელ ქართველოლოგს პროფესორ დიან პოლისკის, ვისი თაოსნობითაც ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში, რომელიც ვაშინგტონის მახლობლად ვირჯინიის შტატში მდებარეობს, გაიხსნება ქართული ენის შემსწავლელი კურსი.

ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე ამზადებს ინტერვიუს ამერიკის რუსულენოვან რადიოსა და ამერიკის ხმის ქართული გადაცემისათვის. გაზეთ „ჰერალდ ტაიმსში“ დაიბეჭდება მისი ინტერვიუ, რომელიც ეხება საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის საკითხებს. ბატონი გიორგი გამოვა აგრეთვე ინდიანის სატელევიზიო პროგრამაში, რომელიც განიხილავს საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებს. დაგეგმილია მისი შეხვედრა რამდენიმე სენატორთან და კონგრესმენთან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესის სამსახური.

საერთაშორისო რუბრიკა

იუგოსლავიას სამოქალაქო ომის საშიშროება ემუქრება. სამშაბათს ორი რესპუბლიკის — ხორვატიის და სლოვენიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გრძელდება შეტაკებები იუგოსლავიის ფედერალურ არმიასა და ამ რესპუბლიკების თავდაცვის ძალებს შორის.

სლოვენიის თავდაცვის მინისტრმა ტელევიზიით გამოსვლისას თქვა, რომ ფედერალური არმიის ნაწილებმა დაიკავეს რესპუბლიკის ყველა სასაზღვრო პუნქტი და სლოვენიის დედაქალაქის — ლიუბლიანას აეროპორტი. დაზუსტებული მონაცემებით, დაღუპული და დაჭრილია ასამდე ადამიანი. ამასთან სლოვენიის თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს ფედერალური არმიის 6 სამხედრო ვერტმფრენი და გაანადგურეს რამდენიმე ტანკი.

ფედერალური არმიის აქტიურობა შეიმჩნევა ასევე ხორვატიაშიც. ხორვატია აცხადებს, რომ გამოიყენებს ძალას არმიის წინააღმდეგ, თუ იგი ჩაერევა შეტაკებებში ხორვატებსა და ამ რესპუბლიკაში მცხოვრებ ერებს შორის. ამ შეტაკებებში უკვე 7 ადამიანი დაიღუპა.

ფედერალურმა მთავრობამ ბელგრადში მოუწოდა რესპუბლიკებს, გამოაცხადონ სამთვიანი მორატორუმი დამოუკიდებლობების დეკლარაციაზე, თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისაგან და დაიწყონ მოლაპარაკება, თუმცა სლოვენიის მთავრობა აცხადებს, რომ არ დათანხმდება არავითარ მოლაპარაკებაზე, სანამ არმიის ნაწილები ყაზარმებში არ დაბრუნდებიან.

მსოფლიო საზოგადოებრიობა ერთსულოვნად უჭერს მხარს იუგოსლავიის ერთიანობის შენარჩუნებას.

დასავლეთ ევროპის კავშირი და ევროპარლამენტი მოითხოვენ ჰელსინკის პროცესის მონაწილე ოცდათხუთმეტივე ქვეყნის საგანგებო თათბირის მოწვევას იუგოსლავიის კრიზისთან დაკავშირებით. ამ იდეას მხარს უჭერს შეერთებული შტატებიც.

●

აშშ ადმინისტრაციამ დაგმო საბჭოთა ჯარის ნაწილების თავდასხმა ვილნიუსის მთავარ სატელეფონო სადგურზე და ამ აქციას დაუშვებელი და გაუმართლებელი უწოდა.

როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა მ. ფიცუოტერმა თქვა, აშშ ელჩმა ჯ. მეტლოკმა ოფიციალური პროტესტი განუცხადა საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს.

თუმცა მ. გორბაჩოვმა კვლავ აიცილა პასუხისმგებლობა მომხდარ ფაქტზე. საბჭოთა პრეზიდენტის წარმომადგენელმა ვ. იგნატენკომ განაცხადა, რომ ეს ინციდენტი პროვოკაციას წარმოადგენს და რომ ვიღაც ცდილობს დაძაბოს საერთაშორისო ატმოსფერო პრეზიდენტის „დიდი შვიდეულის“ ლიდერებთან შეხვედრის წინ.

მ. გორბაჩოვმა ბრძანება გასცა, დაიწყონ მომხდარი ინციდენტის გამოძიება.

●

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია დატოვა უკანასკნელმა საბჭოთა ჯარისკაცმა. ამით დასრულდა ამ ქვეყნის 23-წლიანი საბჭოთა ოკუპაცია, რომელიც დაიწყო პრაღაში ვარშავის პაქტის ჯარების შეჭრით.

საბჭოთა ჯარების გამოყვანა წინ უსწრებს ვარშავის ხელშეკრულების ოფიციალურად გაუქმების ცერემონიას, რომელიც ორშაბათს ჩატარდება პრაღაში.

აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა გავლენის მეორე სიმბოლო — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო — ოფიციალურად შეწყვეტს არსებობას ბუდაპეშტში ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ეკონომიკის და ვაჭრობის მინისტრთა შეხვედრაზე.

●

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ჟენევაში მიმდინარე განიარაღების კონფერენციაზე თქვა, რომ ქიმიური იარაღის განადგურება საბჭოთა კავშირში ფაქტიურად შეჩერებულია ამ სამუშაოსთან დაკავშირებული დიდი ხარჯების. ასევე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების გამო. ბი-ბი-სის კორესპონდენტი ჟენევიდან იუწყება, რომ კონფერენციის მონაწილეები მოელიან ჯერ საბჭოთა ქიმიური იარაღის განადგურებას, ამ იარაღის მსოფლიო მარაგის განადგურებამდე.

●

კუბის სასამართლომ დამნაშავედ ცნო ორი ექიმი, რომელთაც ფიდელ კასტროს მოკვლა სურდათ. გასულ წელს მათ სცადეს კუბის ნეიროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის აფეთქება ფ. კასტროს ვიზიტის დროს.

●

პაბლო პიკასოს ოთხი სურათი, რომლებიც გასულ თვეში პრაღის ნაციონალური გალერეიიდან გაიტაცეს და 30 მილიონ დოლარად არის შეფასებული, ნაპოვნია; გამტაცებლები დააპატიმრეს, თუმცა მათი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, ეს ოპერაცია ერთობლივად განახორციელეს ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის პოლიციებმა.

ირინა თევდორაშვილი

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ **ნოდარ აკაკის ძე მეძმარიაშვილი** დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

გამოცდა, პრობლემა, სიახლე

ველით ღირსეულ შევსებას



არჩილ ახათიანი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი

მიღების წესები ჩვენს ინსტიტუტში, სხვა წლებისაგან განსხვავებით მარტივია: ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც საზღვრავს აბიტურიენტის სტუდენტად ჩარიცხვას, არის მისი ცოდნა.

ძირითადი სიახლე გახლავთ ის, რომ ჩვენს ინსტიტუტში სახელმწიფო მიღების გეგმა 300 კაცით განისაზღვრა. აღნიშნული ოდენობა, ოპტიმალურად მიგვაჩნია იმისათვის, რომ ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე პედაგოგ-ლექტორებმა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება განახორციელონ თვისობრივად მაღალ დონეზე. ამის საფუძველზე შეიძლება რეალურად გადავდგათ ნაბიჯი სწავლების ინდივიდუალიზაციისაკენ, რომელიც ესოდენ საჭიროა სამედიცინო დარგის სპეციალისტებისათვის, განსაკუთრებით კი პრაქტიკული მომზადების სრულყოფისათვის. მოგახსენებთ, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლებით კარგა ხანია ყველას გავუსწარით.

მისაღები კონტიგენტის სიმკცრე, ალბათ, გაზრდის კონკურსს, ამიტომ ჩვენ გვმართებს მისაღები კამპანია წარვმართოთ ისე, რომ საზოგადოებამ, აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა გამოთქვან კმაყოფილება, არ იყოს მითქმა-მოთქმა, მხილებები, არავითარი საბაბი არ მივცეთ მათ ნებისმიერი ბრალდებისათვის. ეს ძალზედ რთული პროცესია, მაგრამ, ვფიქრობთ, სრული საჯაროობა და კეთილმოსურნეობა ახალგაზრდებისადმი შეგვაძლებინებს მოსალოდნელი დიდი კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებას.

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდებზე შეფასება განხორციელდება 10-ქულიანი სისტემით, კონკურსის შედეგად მაინც მოსალოდნელია თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევები. გასული წლების მწარე გამოცდილება რომ არ განმეორდეს, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, აბიტურიენტის ჩარიცხვა განხორციელდება იმ თანმიმდევრობით, რომელიც კონკრეტულადაა განსაზღვრული მიღების წესებში.

ვფიქრობთ, რომ ჩვენ წელსაც მტკიცედ დავიცავთ მიღების გეგმას და არ დავუშვებთ დაწესებული კონტინგენტს ზემოთ აბიტურიენტთა ჩარიცხვას.

ასე რომ, ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტის ჩარიცხვა არ განხორციელდება. უფრო სწორად, ვერ განხორციელდება. ფასიანი სწავლების მოტივის მოშველიებითაც კი. მითუმეტეს, რომ ახლახანს გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შემოღების შესახებ, სადაც მეორე პუნქტად აღნიშნული არის ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებლებში ფასიანი სწავლების შემოღება დაუშვებელია. ვფიქრობთ, რომ ამ მიმართებით დღეს უკვე ყველაფერი ნათელია.

მიმღები კომისიის აზრით, ოთხივე საგანში საგნობრივი კომისია დაკომპლექტებულია კვალიფიციური, ავტორიტეტული სპეციალისტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ, (წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად) წერითი ნაშრომების უზუსტეს შეფასებას. რა თქმა უნდა, ყველა აბიტურიენტს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს თავისი ნაშრომის ქსეროასლი და მოტივირებულად გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში.

გამოცდების მიმდინარეობა ტრანსლირებული იქნება საინსტიტუტო სატელევიზიო სისტემით.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ღირსეული ახალგაზრდობა მივიღოთ.

კვლავ საგანგაშო ზარი ანანურიდან

კვირას, 30 ივნისს, 12 საათზე ანანურში ტარდება სამეცნიერო-საზოგადოებრივი გასვლითი კონფერენცია არაგვის ხეობის მწვავე ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია ძირითადად იმ სამიშროებით, ყინვალის წყალსაცავი რომ წარმოშობს შესი არსებობის ამ მეტისმეტად რთულ, ექსტრემალურ პირობებში.

ღონისძიება ტარდება გაზეთ „წუთისოფლის“ ინიციატივით და მასში მონაწილეობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია, მწერალთა გაერთიანება „გულანი“, მიწათმოქმედთა კავშირი, ეკოლოგები, ისტორიკოსები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, აგრეთვე არაგვისპირის, თვალივისა და ანანურის მოსახლეობა, რომელთაც პრობლემას უქმნის ყინვალის წყალსაცავი და სხვა დაინტერესებული პირნი.

კონფერენციის მონაწილენი სთხოვენ საქართველოს ჰიდროენერგეტიკის და წყალსაცავთა მშენებლობის მესვეურთ ანანურში მობრძანებას.

კონფერენციაზე მიღებული იქნება შესაბამისი რეზოლუციები საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელზე.

დაინტერესებულ პირთ ვაუწყებთ, რომ ავტობუსი დახვდებათ კინოსტუდია დოკუმენტური ფილმის შესასვლელთან. აღმაშენებლის გამზირზე, დილის 10 საათზე.

„წუთისოფლის“ რედაქცია

ქართველ ექიმთა მსოფლიო კონგრესისათვის

საქართველოს ექიმთა ასოციაცია 1991 წლის 24-27 ოქტომბერს ქ. თბილისში ატარებს ქართველ ექიმთა I მსოფლიო კონგრესს. კონგრესის მიზანია ქართველ და უცხოელ კოლეგებთან საქმიანი, მეგობრული კავშირების დამყარება, უცხოეთის ქვეყნების სამედიცინო ფასიანი ორგანიზაციებთან ფართო სამეცნიერო-პრაქტიკული და კულტურული თანამშრომლობა.

კონგრესის პლენარულ სხდომებზე განხილული იქნება საქართველოში სადაზღვევო მედიცინის დანერგვის და სამედიცინო კადრების მომზადების სისტემის სრულყოფის საკითხები. კონგრესის მსვლელობიდან ორი დღე დაეთმობა სხვადასხვა თემატიურ-სექციურ შუშაობას. კონგრესზე ქველმოქმედების სახით შემოსული თანხები, აპარატურა, მედიკამენტები და სხვა შემოწირულობანი მოხმარდება საქართველოს მედიცინის განვითარებას.

კონგრესში მონაწილეობაზე წერილობითი თანხმობა მოგვცეს აშშ-ის, გერმანიის, ისრაელის, საფრანგეთის, ვენესუელის, არგენტინის, ესპანეთის, ჩეხეთ-სლოვაკიის, ლიტვის, ლატვიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა, მათ შორის არიან, როგორც ჩვენი თანამემამულეები, ისე უცხოელი სპეციალისტები. დაგეგმილი გვაქვს საინფორმაციო ბრძოლის გამოშვება უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმების შესახებ.

საზღვარგარეთიდან მიღებული გვაქვს სხვადასხვა სპეციალისტთა მიერ მომზადებულ მოხსენებათა სათაურები და თეზისები. ჩვენი რესპუბლიკის წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში დაიგზავნა შესაბამისი ანკეტები. ჩვენი თხოვნაა, რადგან უკვე მიმდინარეობს კონგრესის სამუშაო პროგრამის შედგენა, უმოკლეს ვადაში გამოგვიგზავნოთ მოხსენებათა თეზისები ორ გვერდზე დაბეჭდილი, ქართულად და ინგლისურად. სათანადო პირობების დაცვით. ანკეტების და თეზისების გამოგზავნა შეიძლება, როგორც ანკეტაში მითითებულ მისამართზე (ქირურგიის ინსტიტუტში), ისე საქართველოს ექიმთა ასოციაციაში შემდეგ მისამართზე: თბილისი 380086, ქავთარაძის ჭ. 23 ა, სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური;

ამ მეტად საჭირო და ეროვნული ღონისძიების ჩატარებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ფინანსური საშუალებები.

რესპუბლიკის სამინისტრო-უწყებათა, საწარმოო-ორგანიზაციათა და კოოპერატივების ხელმძღვანელებს საქართველოს ექიმთა ასოციაციის სახელით ვოგმართავთ თხოვნით, შეძლებისდაგვარად გადმოგვირიცხოთ თქვენთვის ხელმისაწვდომი თანხა ამ სასიკეთო საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის. იმედი გვაქვს, ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებენ, როგორც ექიმთა ასოციაციის რეგიონალური და პირველადი ორგანიზაციები, ისე სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებები, ორგანიზაციები, ფირმები და კოოპერატივები. ინდივიდუალურად ნებისმიერი თანხის გადმორიცხვა შეუძლია ყველა მსურველს, რისთვისაც წინასწარ ვუხდით მადლობას.

ჩვენი ანგარიშია: 000569096, კოდი 521705, აგროსამრეწველო ბანკი (საქართველოს რესპუბლიკური საოპერაციო სამმართველო). თანხის გადმორიცხვისას უნდა აღინიშნოს: — „ქართველ ექიმთა საერთაშორისო კონგრესისათვის“.

გია ლობჟანიძე,
ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

უნგრელ ხალხს

გილოცავთ სამშობლოს ტერიტორიის დაცლას სოკუპაციო ჯარებისაგან.

ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც მსახურობდა 1956 წელს თქვენი სამშობლოს ტერიტორიაზე, იყო თქვენი, მართალი საქმის თანამგრძნობი და შემწე, რაც ღირსეულადაა შეფასებული 1956 წლის ლიდერთა მიერ: „მადლობა იმ ქართველ ბიჭებს, რომელთაც იარაღი არ აღმართეს ჩვენს წინააღმდეგ“.

გისურვებთ წარმატებებს თქვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და მსოფლიოში კეთილი ნებით აღსრულებაში.

1956 წლის უნგრეთის ამბების მონაწილე
ვალოდია ბაღიშვილი

სხვა გაზეთებიდან

ეს მავნე საბჭოთა სინამდვილე

ლენინგრადში მოქმედი სკანდინავიის ქვეყნების საკონსულოების დიპლომატებსა და თანამშრომლებს ახლახან მათი ქვეყნების მთავრობებმა რამდენჯერმე მოუმატეს ხელფასი... მავნე სამუშაოსათვის.

ეს ადამიანები მოქალაქეთა იმ კატეგორიას მიაკუთვნეს, ვისი პროფესიული საქმიანობაც მუდმივ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. სკანდინავიის ქვეყნების მთავრობებმა ამ წინააღმდეგობებს მიაკუთვნეს საბჭოთა სატელეფონო და საფოსტო სისტემა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საბჭოთა სამრეწველო საქონელი და სხვა.

(„იზვესტია“ № 145).

თუ...ჯ. ჰუსეინი კარგა ხნის მკვდარი უნდა იყოს

„მე ჩავიდინე საშინელი შეცდომა! მე, რომ არა, ჰუსეინი კარგა ხნის მკვდარი იქნებოდა!“ — განაცხადა ახლახან ლონდონის წმინდა მარიამის სახელობის ჰოსპიტალის ექიმმა ვილომ ფრანკლანდმა. აღმოჩნდა, რომ 15 წლის წინათ ის ბაღდადში ლოგინად ჩავარდნილ სადამ ჰუსეინთან გამოიძახეს, რომელსაც კარგა ხანს უომედოდ მკურნალობდნენ ადგილობრივი ექიმები ხან ასთმას და ხან ალერგიას რომ უდგენდნენ. ფრანკლანდმა უმალ დაადგინა ჰუსეინის ავადმყოფობის მიზეზი — თურმე სადამი დღე-ღამეში 60 ღერ სიგარეტს ეწეოდა — და ურჩია: „თუ ახლავე არ შეეშვებით სიგარეტს, ორ წელიწადში ამ ქვეყანას სხვა მეთაური ეყოლება!“ მეორე დილით ცნობილი გახდა, რომ დიქტატორმა სიგარეტს თავი დაანება(**„კომერსანტი“ № 23**).

თუ ჩაიკოვსკი და ბეთჰოვენი ძღერს...

იაპონელი სპეციალისტები თვლიან, რომ მეცნიერები ბევრად უკეთესად იზრდებიან, თუ მათ რეგულარულად მოუწყობ... კონცერტებს. და მართლაც, სპეციალურ ნაკვეთზე, სადაც 15-15 წუთი ეღერდა ბეთჰოვენისა და ჩაიკოვსკის მუსიკა, მათ ვაშლის, სალათისა და წიწაკის უჩვეულო მოსავალი მიიღეს **(„სელსკაია ჟიზნ“ № 120).**

საბჭოთა არმია თუ... ბანდა

ახლახან უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის ივანო-ფრანკოვსკის სამხარეო საბჭოს წევრს ვიტალი დალოვიჩს სასამართლოში უჩივლეს სამხედროებმა, კერძოდ — კარპატისპირა სამხედრო ოლქის სარდლობის წარმომადგენლებმა როგორც **„ინტერფაქსი“** იუწყება, სამხედროებმა ასე ოფიციალურად პირველად მიმართეს სასამართლოს, მიზეზი კი ის გახლდათ, რომ დალოვიჩმა საბჭოთა არმიას, არც მეტი არც ნაკლები, შეიარაღებული ბანდა უწოდა.

თანამედროვე გარგანტუა

ესპანური გაზეთ **„პაისის“** ცნობით, კუნძულ ბლანკილზე ცხოვრობს თანამედროვე გარგანტუა, 23 წლის ჟოანო ნეგრინი. ის პირველ საუზმეზე, დაახლოებით დილის 7 საათზე, ჭამს სამ კილოგრამამდე მოხარშულ ბატატს (ტკბილ კარტოფილს) და ორ კილოგრამ მოშუშულ ხორცს, რასაც 4 ლიტრ ადგილობრივ სუსტ ლუდს და კილოგრამამდე სხვადასხვა ხილს აყოლებს. ნეგრინი მეორე საუზმესაც „მსუბუქად“ თვლის, ამ დროს ის სვამს ლიტრანახევარ მსუბუქ ღვინოს და ჭამს კილოგრამნახევარ მოხარშულ ლობიოსა და ორ კილოგრამ ღორის ხორცს. სადილზე ნეგრინი განსაკუთრებით „მსუბუქად ნაყრდება“ — მიირთმევს სამ კილოგრამ ხორცს, და ორ ლიტრ ღვინოს აყოლებს. თანამედროვე გარგანტუას ვახშმად მხოლოდ უმი ბოსტნეული (სამი კილოგრამი მაინც) ჰყოფნის.

ექიმებმა დაადგინეს, რომ ნეგრინი აბსოლუტურად ჯანმრთელია, ღორმუცელობა კი უბრალოდ მისი ჩვევაა და მეტი არაფერი.

ამერიკელი ჯენტლმენი ყოველთვის ჯენტლმენია

და გამონაკლისი არც ამერიკული კომპანიების პრეზიდენტები დეილ რ. და პიტერ ჰ. აღმოჩნდნენ. ვლადივოსტოკში ყოფნისას ერთ-ერთი საქმიანი შეხვედრის შემდეგ სასტუმროში დაბრუნებისას, მათ წინ გადაუდგა სამი ლამაზმანი და დამტვრეული ინგლისურით რესტორანში მიიწვია.

სანამ მიმნდობი ბიზნესმენები გოგონებთან ცეკვით ირთობდნენ თავს, ვიღაცამ მათი „დიპლომატები“ „აიორთქლა“. ამერიკელებს განსაკუთრებით საქმიანი ქაღალდების დაკარგვამ დასწყვიტა გული.

ვლადივასტოკის მილიციამ თავი არ შეირცხვინა და მეორე დილითვე დააკავა ქურდობაში ეჭვმიტანილი 20 წლის ანდრეი მ., რომელიც უმალ იზოლატორში გააგზავნეს.

ყველა უსიამოვნების მიუხედავად, ამერიკელები ბოლომდე ჯენტლმენებად დარჩნენ და ვლადივოსტოკიდან წამოსვლისას ანდრეი მ-ს საკუთარი სახსრებით დაუქირავეს... ადვოკატი (**„ტრუდი“ № 141-142**).

კინსკის სინორჩის საიდუმლოება

28 წლის ამერიკელმა კინომსახიობმა ნასტასია კინსკიმ რომელსაც ბევრი ბეჭედი ორგანოს მტკიცებით, 19 წელზე მეტს ვერ მისცემ, ახლახან რეპორტიორებს თავისი მუდმივი სინორჩის საიდუმლოება გაუმხილა.

პირველ რიგში, — თქვა მან, მტკიცედ ვიცავ დიეტას — ვიღებ ცხიმებისა და ცილების მინიმუმს, თვეში სულ მცირე ერთი კვირა თევზისა მაქვს. არ ვიყენებ არავითარ სინთეტიკურ კოსმეტიკურ საშუალებებს, ვიკეთებ მხოლოდ ახალი ხილის წვენის მასაჟს.

და მაინც, მუდმივი სინორჩის მთავარ მიზეზად კინსკი ასევე მუდმივ და გაზიარებულ სიყვარულს თვლის (**„მედიცინსკაია გაზეტა“ № 25**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბახვა ფულავა ღამის ჰერანგისამარა აძოვებდა თხებს“

ანუ

სნეულის დაბადება და უნყალოდ გაყინვა

კვლავ ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის შესახებ. ამ საკითხზე საკმაოდ დაიწერა, დაუწერლად კიდევ უფრო მეტი გვესმის. მოკამათეთა მხარე ორად გაიყო. ერთი ბატონ კორნელი დანელიას მიერ საკმაოდ დასაბუთებულ აზრს უჭერს მხარს, მეორე კი — ბატონ რევაზ თვარაძის ტრადიციულ მოსაზრებას. მოკამათეთა პიროვნული ღირსებები და მოსაზრებანი იმდენად ღრმა და საფუძვლიანია, ვერ ვბედავდი ჩემი მოკრძალებული აზრის გამოთქმას, რომ არა ბატონ ნუგზარ აფხაზავას მიერ „ახალგაზრდა ივერიელში“ (30.05.91 წ.) გამოქვეყნებული წერილი „ის ერთი!...“. პირველ რიგში უნდა „ოვნიშნო, რომ ამ წერილში მიმართვის ფორმები: „მაგრამ განა პროფესორი კ. დანელია (და კიდევ ბევრი სხვა პროფესორი...)“, „მაშ, რა მოხდა, როგორღა ჩაერიცხა უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტი კ. დანელია?“, „როგორც ეს თავის დროზე აბიტურიენტმა კ. დანელიამ შეძლო“ — ბატონ კორნელი დანელიასადმი არ მომეწონა.

ვერც იმას მოვუწონებთ ბატონ ნუგზარ აფხაზავას, რომ სახელმოხვეჭილად მიაჩნია ის ადამიანები, ვინც კლასიკოსებს ებრძვიან. ამის გამო იტყვიან, „ღმერთო გვიშველეო“. იაკობ გოგებაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლაა, თუ მეტი არა. მართლაც გვიშველოს ღმერთმა ასეთი სიამაყისაგან, თავის წარმოჩენის მიზნით სხვისი უარყოფისაგან.

ბატონო ნუგზარ, თქვენ ფიქრობთ, რომ „პროფესორი რევაზ თვარაძე თავის წერილში ასაბუთებს, რომ დანელიამ ვერ დაასაბუთა არსებული მეთოდის უვარგისობა“. მე, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებელი (45 წელია სკოლაში ვმუშაობ) და მეთოდისტი, ვერ დაგეთანხმებით. რად უნდა დასაბუთება იმას (დასაბუთებულს), რომ აბიტურიენტს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოვთხოვოთ საკითხების ცოდნა. ამ სამართლიანი, უფრო სწორად, საფუძვლიანი მოთხოვნის უარყოფა დასაბუთებაა?

საწინააღმდეგო მოსაზრებათა მეთაურებს უსაზღვროდ პატივს ვცემ, რადგან „ხე საცნაურ არს ნაყოფითგან“, პირადად კი არც ერთს არ ვიცნობ. ამდენად ნეიტრალური პიროვნება ვარ და პრაქტიკული დაკვირვებიდან მხოლოდ ჩემს სუბიექტურ შეხედულებას გამოვთქვამ.

ვიცნობ სკოლის ყველა კუთხე-კუნჭულს და მიკვირს თვენგან ასე პრინციპულად საკმაოდ დაუსაბუთებელი აზრების გამოთქმა. როგორც თქვენი საუბრიდან ჩანს, არ ხართ იმის მომხრეც, რომ „მკაცრად დაისჯოს (შეფასებას ვგულისხმობ) ის აბიტურიენტი, რომელიც წერს: ჯერ-ჯერობით, ჩემი აზრით, მით უმეტეს, თვითოეული, ამქვეყნად და ა. შ.“ ასეთი აბიტურიენტების დაუსჯელობით, ალბათ, მათ უმაღლეს სასწავლებელში მიღებას მოითხოვთ, თუ ასეა, მაშინ გეთქვათ, რომ მისაღები გამოცდები საჭირო არაა და ამით დაგემთავრებინათ, რად გინდოდათ გაზეთში „სარდაფის“ დაკავება. ბოლოს და ბოლოს, რა ბრძანა ბატონმა კორნელი დანელიამ, ასე უსაფუძვლოდ რომ უარყოფთ მის მოსაზრებას? ბრძანა, რომ მოვთხოვოთ აბიტურიენტს პროგრამული მასალა, რომელსაც თერთმეტი წლის განმავლობაში სწავლობს, ისიც შემცირებული სახით. ბატონი კორნელი დანელია გვთავაზობს, რომ ნუ გავაყალბებთ მისაღებ გამოცდებს, შევუშალოთ ხელი ყალბის მქნელებს, ნუ გავუღებთ უმაღლესი სასწავლებლის კარს ყველა უჩინოს და უღირს, შევარჩიოთ ჩინიანნი და ღირსეულნი. ვფიქრობ, ბატონო ნუგზარ, თქვენ ქვემოთ მოტანილი გამონათქვამების აბიტურიენტ ავტორებსაც ფართოდ გაუღებდით უმაღლესი სასწავლებლის კარს: „მეფის მთავრობა კრძალავდა ნაციონალურ **ერებზე** ჟურნალ-გაზეთების გამოცემას“, „სამშობლოს **მეგობრობით** გამოწვეული ღრმა სევდა აკაკიმ გამოხატა მრავალ ლექსში“, „რა იციან რომ ეს გული მკვდარია რომ **ხიცოცხლე** ბევრჯერ ცრემლზე მწარია“, „რას მიქვიან პირადი მწუხარება, მოკვდეს **აკაკი თუ** პირუტყვს ედარება“, „აქ ფუფუნების გვერდით **ხელის ამრევი** სიღატაკე და სიბინძურეა **განადგურებული**“, „თინათინი დავდაბალი და **კლდეამოსილი ქალია**“, „ლეკვი ლომისა სწორია **ძე** იყოს თუნდა ხვადია“, „თინათინი ნესტანის მსგავსად **იდეური** მიჯნურია“, „სატრფოს დაკარგვის შემდეგ თუმცა იგი პირვანდელი **აზრდილითა იყო**“. „**ძირგული** და მოღალატე ნამსახურსა დავამსგავსე“. „ბურჟუაზიულ ქალაქში **უწყალოდ** იყიდებიან ადამიანები“, „განდგომია და სულ მარტოდ მარტო ამ ყინულებში **დაყრუებულა**“, „ბახვა ფულავა **ღამის პერანგის** ამარა აძოვებდა თხებს“. ვფიქრობთ, საკმარისია მაგალითები. ხომ არ გგონიათ, ბატონო ნუგზარ, ესენი უნებლიე შეცდომებია? არა, ესენი უმეცრების შედეგია „შპარგალკების“ გამოყენებისას. ამ ნიმუშების ავტორებს რომ ტექსტი შეესწავლათ, ასეთ „მარგალიტებს“ არ გვითავაზებდნენ. აი, ამას ებრძვის ბატონი კორნელი დანელია. ასეთები არ უნდა მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, ფორმალურად აკრძალული, მაგრამ პრაქტიკულად დაშვებული მეთოდებით და ხერხებით. ვერ დავიჯერებთ, ბატონო ნუგზარ, რომ თხზულების დამწერი (შემოქმედი მოსწავლე) კითხვებზე ე. წ. ტესტებზე პასუხს ვერ გასცემს. აბიტურიენტისაგან არავინ მოითხოვს, თუ რამდენი თავისაგან შედგება ნაწარმოები, მაგრამ იმას კი მოსთხოვენ, რომ იცოდეს „ხუთი ქისა“ რა დანიშნულებისა იყო. ეს ბავშვს თავის ოჯახურ მდგომარეობაშიც ჩაახედებს. თხზულება და ტესტები აბიტურიენტთათვის ერთნაირი სიძნელისა იქნება. ტესტების უპირატესობა ის არის, რომ უღირსს ღირსეულის მუნდირს არ ჩააცვამს და ღირსეულს — უღირსისას. თქვენ, ბატონო ნუგზარ, შემოთავაზებული „ორი რადიკალური ნაბიჯის გადადგმით“ კიდევ უფრო ძაბავთ და ართულებთ, პირველ რიგში, აბიტურიენტებისა და შემდეგ — საგამოცდო კომისიის მდგომარეობას. ბატონო ნუგზარ, თქვენი თეორია და პრაქტიკა ერთმანეთისაგან გათიშულია. როგორ „იწყებთ სკოლით განათლების სისტემის გარდაქმნას“, როდესაც უმაღლესი სასწავლებლის კარს უღებთ არასასურველ კონტინგენტს. ყოველ წელს სკოლას ამთავრებს 65 ათასი ახალგაზრდა, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებია დაახლოებით 12-14 ათასი. ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებიდან ვიცით, რომ კლასში ათამდე მოსწავლე (ოცდაათიდან) შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში ღირსეულად განაგრძოს სწავლა. ნუთუ საერთო კონტინგენტიდან არ შეიძლება ამ ღირსეულთა შერჩევა? შეიძლება ბატონ კორნელი დანელიას შემოთავაზებული მეთოდით. ამიტომ, ჩვენი აზრით, უმაღლესი სასწავლებლით უნდა დავიწყოთ გარდაქმნა: მიიღებს უმაღლესი ღირსეულს, სკოლას დაუბრუნდება არა „დაბალი დონის“, არამედ ღირსეული, მაღალი ზნეობისა და განათლების მოქალაქე.

ბატონო ნუგზარ, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ასეა განმარტებული „ტესტ-ი — სტანდარტული ფორმის მოკლე ამოცანა, რომელსაც აძლევენ ცდის პირს მისი გონებრივი განვითარების... გამოსავლინებლად“. აქედან თქვენს მიმართ გვებადება კითხვა: რატომ არის საგამოცდო წერისათვის „მოკლე ამოცანა“ მიუღებელი და „გრძელი ამოცანა“ (თხზულება) კი მისაღები?! ღმერთო, გვიშველე! ტესტები დამოუკიდებელ აზროვნებაზე აგებულ გეგმიანობას ეფუძნება. „თხზულებანი“ — კი დაზეპირებულ „შპარგალკებს“ ან გადაწერაში გაწრთვნას.

ორ მეთერთმეტე კლასს ვამზადებდით „საკონტროლო წერისათვის“. ერთს გეგმის მიხედვით ვთხოვდით თხზულების შესრულებას, მეორეს — უგეგმოდ. როგორ ფიქრობთ, უგეგმოდ მიაღწევდნენ სასურველ შედეგს?... არა, გეგმიანი მუშაობით უკეთესად იწერება თხზულება და სრულდება ყოველგვარი სამუშაო.

თქვენ რომ გგონიათ, სკოლა ასე ადვილად არ გარდაიქმნება დღეს შექმნილი საერთო მდგომარეობის გამო, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ გვაქვს. სკოლებში არიან საუკეთესო მასწავლებლები და მოსწავლეები, რომელთაც მხარი უნდა დაუჭირონ მშობლებმა და მთელმა საზოგადოებამ. ყველა გაერთიანებული ძალით შევებრძოლოთ ქართველთა ზნეობისათვის შეუფერებელ მოქმედებას: ცუდ მოსწავლეს კლასიდან კლასში ნუ გადავიყვანთ, ჩამორჩენილ სტუდენტს უმაღლეს სასწავლებელში ნუ „დავიჭერთ“.

ჩვენ ყველაფერში არ ვეთანხმებით ბატონ კორნელი დანელიას. წერით გამოცდაში ხუთ საკითხზე პასუხი დიდ დროს მოითხოვს. სიჩქარის გამო შეიძლება მცოდნე აბიტურიენტიც დაიბნეს და სათანადოდ ვერ გამოავლინოს თავისი ძალა. ამიტომ საკმარისად მიგვაჩნია საწერ თემად მიეცეს სამი ან კითხი, ორი ლიტერატურული და ერთი წინადადება გასარჩევად. ვერაფრით გავიზიარებთ იმათ აზრს, ვინც გრამატიკას ენობრივი ფენომენიდან რიცხავს და მხოლოდ ლიტერატურის საშუალებით ფიქრობს სწორი აზროვნების განვითარებას მოსწავლეებში. გრამატიკა ენათმეცნიერების დარგებიდან უპირველესია და მისი ცოდნის გარეშე სრულყოფილ პიროვნებას ვერ მივიღებთ. გრამატიკის უცოდინარობის შედეგია, რომ დღეს უმაღლესი ხარისხის პიროვნებანი ვინ? და რა? ჯგუფის არსებით სახელებს ვერ არჩევენ. ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზია გვთავაზობენ ასეთ გამოთქმებს: „საბედნიეროდ ქართული საზოგადოება“ (გაზ. „საბჭოთა პედაგოგი“ 2. 02. 90.), ტელევიზიის საღამო გადმოცემაში „შეხვედრები“ (9. 8. 90.) სამჯერ იქნა ნახმარი „ქართული ინტელიგენცია“. ინტელიგენციისა და საზოგადოების შიმართ ასეთ გამოთქმებს ყველა გაზეთსა და ყველა წერილში შეხვდებით. ეს ხომ ადამიანის შეურაცხყოფაა. ქართული ენა ამ მხრივ გამოირჩევა მსოფლიო ენებისაგან, თქვენც საყვედურობთ, ბატონო ნუგზარ, ინფორმაციის საშუალებებს ზნის წახდენის გამო. ენა ძალზე სათუთია და მარტო ლიტერატურას ვერ დავაკისრებთ სალიტერატურო ენისა და სწორი აზროვნების შესწავლას მოსწავლეთათვის. ასე რომ იყოს, აღარ იქნება საჭირო ლექსიკონები (ენათმეცნიერების დარგი), მშობლიური და უცხო ენების გრამატიკები (ესეც ენათმეცნიერების დარგი) და მარტო ლიტერატურულ თარგმანებს დავეყრდნობით ენის შესწავლისას, რაც შედეგს ვერ მოგვცემს.

ენა და ლიტერატურა ერთიანი და მთლიანია, სადაც ენობრივი მასალა, ლიტერატურულიცაა და, სადაც ლიტერატურაა, იქ ენობრივი ფაქტებია. ლიტერატურული მასალის ანალიზს ენობრივი ფაქტების გარეშე ვერ მოვახდენთ. აი, რას მიგვანიშნებს ამ წერილის სათაური, ენა უპირველესია.

მიხეილ რევაზიაშვილი,
დოცენტი, დამსახურებული მასწავლებელი.

პონორარი გადაირიცხოს მისწერისძვრით დაზარალებულთათვის ორის ბანკში.

რა ქნას აბიტურიენტმა

რა სიკეთეს მოუტანს მშობლიური ენისა და ლიტერატურის ახალი საგამოცდო მოდელი (ლაპარაკია ბატონ კორნელი დანელიას პროექტზე) იმათ, ვინც ადრე დაამთავრა საშუალო სკოლა? — ამ კითხვამ ბევრს გაუჩინა საფიქრალი, მათ შორის მეც.

მართლაც, რა ქნან ძველ პროგრამებზე გაზრდილმა აბიტურიენტებმა? ანდა პედაგოგებმა, რომლებსაც ისევ და ისევ ხელთ უპყრიათ უვარგისი, კარგა ხნის წინ დაწუნებული სახელმძღვანელოები? სწორედ ამ შერაცხადი წიგნების დამცველად მოგვევლინა ამას წინათ, ქალბატონი ნათელა ვასაძე, ტელეინტერვიუთი რომ ამცნო საზოგადოებას, „წიგნის ავტორიტეტი“ არ უნდა შევლახოთ მანამ, სანამ მათ არ შევცვლითო... ისიც განაცხადა, რომ ამ საქმეს მალე მოევლებოდა.

მას შემდეგ ველით...

სამწუხაროდ, დღემდე ვერც სკოლების გარდასახვას მოვესწარით და ვერც ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტის ხორცშესხმას; სახელმძღვანელოების გადახალისებისათვის ხომ წკირიც არ დადებულა. მოზარდთა „გულშემატკივრები“, და გამომცდელები კი ყველა სიგლახეს — მათ შორის „შპარგალკომპანიასაც“ მასწავლებლებს აბრალებენ, „ნივთმტკიცებაც“ სახეზეა — კურიოზული სიტყვა-თქმანი აბიტურიენტთა საგამოცდო „ნაშრომებიდან“. მაგალითად: „სამრეწველო ასპარეზზე გამოვიდა“ (სამწერლო). „მისი სამოქმედო სარბენი“... (სარბიელი), „დიდესი „ბალეტმაისტერი კ. გამსახურდია“... (ბალეტმაისტერი), „ალუდამ ქისტს დაუკლა კურაპალატი“ (კურატი) და სხვა.

ჩვენ, პედაგოგებს, ეს „აღმოჩენები“ წლების მანძილზე სირცხვილის ოფლს გვაწმენდინებდა.

შპარგალკომპანიის აღმოსაფხვრელად ამ ბოლო ხანს ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ უკეთესის შესაქმნელად ჯერ ძველი ფესვების ამოძირკვაა საჭირო.

წლების მანძილზე „ერთის მაგიერ პირში ორ ბურთსა გვჩრიდნენ“, ზემოდან გვიბრძანებდნენ „წუნის გარეშე“ სწავლებას, „წუნდებელები“ გვიკრძალავდნენ დაწყებით კლასებში მოსწავლის დატოვებას. უფროს კლასებამდე მიღწეულს კი „ვინღა დაღუპავდა“? და გაჰქონდათ უმაქნისებს იოლად ლელო ბეჯითი მოსწავლის გვერდით.

შედეგი სახეზეა: სავალდებულო სწავლებამ შეიწირა ცოდნის ხარისხი. ამ „ჰუმანურობამ“ დაგვიმახინჯა კარგი მოსწავლეებიც, ხელი ააღებინა სწავლაზე, გაბოროტა და გამოფიტა სულიერად. უვიცთა და ზნეწამხდართა ცოდვა-ბრალი კი სკოლას და მხოლოდ სკოლას აწევს კისერზე. ამით მიდა ხაზი გავუსვა იმ სავალალო ფაქტს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების დაშლის პროცესი დღეს არ დაწყებულა და არც მხოლოდ საზოგადებრივი დაძაბულობით არის გამოწვეული.

ახლახან, ჩინებულმა ჟურნალისტმა დიდი ხელოვანის გულმტკივნეული ნათქვამი მოგვაწოდა: „ჩემი საბრალო სამშობლო რუსის გენერალს, სსრ კავშირის განაპირა მხარე ჰგონიაო“ (იოსებ ჭუმბურიძე, „რას გვპირდებიან მუზები“, „თბილისი“, 1991 წ. 8 თებერვალი). მე არც ილიას რუსი ოფიცრის „მეცნიერული აღმოჩენები“ გამკვირვებია და არც თენგიზ აბულაძის მტერ-მოყვარე გენერლის განაცხადი მომხვედრია გულზე, რადგან ეს ქედწახრილობა „ჩვენი“ წიგნებიდან მოდის. აი, მაგალითი: „ნიადაგი მზად იყო არა მარტო შიდა რუსეთში, არამედ მის განაპირა კუთხეებში, მათ შორის საქართველოში“ (X კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, იხილეთ „სამოციანელთა სოციალური იდეები“), „ეს გარემოება ქართულ-კანეთთან ერთად ქართველთა სხვა ტომებმაც შეიგნეს“ (იქვე „ბაშიაჩუკის“ გარჩევა). რაკი ჩვენვე მიგვაჩნია ქართული და კახეთი ტომებად, მაშინ ხიზნებისა და „შემოპარულების“ რაღა უნდა გაგვიკვირდეს.

სწორედ ამის გამო ვითხოვდით პედაგოგები „გარჩევის წიგნების“ გაუქმებას, მაგრამ წლების მანძილზე ჩვენს შენიშვნებსა და მოთხოვნებს „ცისფერი მოების“ ხვედრი ეწია...

ჰოდა, შეიწირა მოსწავლეთა ბედი, წიგნების ავტორთა და გამომცემელთა უსულგულობამ. დღემდე რომ ბავშვების სასარგებლოდ არაფერი გაკეთებულა, ამის დასტურად მოსწავლეთა დაფლეთილ-გადაყრილი სახელმძღვანელოები და დალეწილ-დაცარიელებული მერხებიც ქმარა. მოზარდების დაბალ აკადემიურ დონეს კი მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებელთა სისუსტით ხსნიან (ზოგჯერ არც უამისობაა), თუმცა სხვა სასკოლო პრობლემების ფონზე მათი განზოგადება სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს.

მოსწავლეთა ამგვარი „ცოდნის ფონზე ბატონ კორნელი დანელიას საგამოცდო მოდელი, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ნაადრევია. მას წინ უნდა უსწრებდეს სათანადო მზადება, ის, რომ მოზარდებს ჩვეულად გამოუმუშავდეს პირადი შეხედულებებისა თუ ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი.

ბოლო წლების დესტაბილიზაციის წყალობით თუ არ დაეკლო საზოგადოებრივ მღელვარებას აყოლილ მოზარდთა ცოდნის დონემ, არაფერი მომატებია. საგანგაშო პოლიტიკურმა ვითარებამ უფრო დაძაბა თითოეულის გულისყური, დიდმა ნაწილმა კიდევ აიკრა გუდა-ნაბადი, დაცარიელდა საკლასო ოთახები, „ზარალის ანაზღაურებას“ მშობლები კერძო მასწავლებლებთან დაქვემდებარებით ცდილობენ და... როგორც სამართლიანად მიუთითებს ბატონი რევაზ თვარაძე, მშობლებისგან გაღებულ ათასებს „სადინარი შეეცვალათ“ კ. დანელიას პროექტით („ლიტერატურული საქართველო“, 1991 წ. 22 მარტი). ახლებური მზადების შედეგიც სახეზე გვაქვს: ტესტების მიხედვით შეკოწიწებულ პატარ-პატარა შპარგალკებს ისე იმარაგებენ აბიტურიენტები, როგორც საბარათო სიძნელეებში ნაშოვნ სურსათს.

ჩვენ კი რას ვითხოვთ მათგან, რაც არ გვისწავლებია. მე, როგორც პრაქტიკოსი პედაგოგი, ვეთანხმები ზემოხსენებული სტატიის ავტორს, რომ ჯერჯერობით „აბიტურიენტს ის უნდა მოეთხოვოს როგორც სწავლობდა და რასაც სწავლობდა სკოლაში“.

საპროგრამო მასალა განტვირთვას საჭიროებს, ამ მიზნით ვითხოვდით სწორედ სახელმძღვანელოთა გამარტივებას, თორემ მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო, საშუალო-მოქმედებითი და საშუალო-ვნებითი გვარის ზმნათა უღლების ტიპები, მათი მომყოლი რიცხვნაკლი, ფუძემონაცვლე თუ თავისებური ზმნები რომელ ინჟინერსა და ეკონომისტს, ექიმსა თუ მეურნეს გამოსდგომია პრაქტიკულად.

ამგვარი საკითხების ნაცვლად, უფრო სასარგებლო და სასურველი არ იქნებოდა გვესწავლებინა მართლწერა და სტილი, რაც ყველა რიგით ადამიანს სჭირდება?

ციცინო ქვათაძე,
პედაგოგი, უფროსი მეთოდისტი.

პონორარი გადაირიცხოს რაჭაში, მიწერისძვრით დაზარალებულთა ფონდში.

,,საქართველოს გზა მწვანე გზაა“

საპასუხო პასუხი:

ზურაბ ჟვანია 27 წლისაა, უცოლწყალი. შეუვაჭარებელია... მწვანეების და ოხერი — ორი ბავშვის პასუხობენ. ეთიოპელ ხარ დაკადენილი, რიცა მწვანეს ეს ეარა ხარო, ერთი პასუხი აქვს: ჩემს ცხოვრებაში ახეთი წელიც არ არსებობსო. დღეს საქართველოს მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელი ჩვენი გიორგის სტუმარია.

— ზურაბ, როდის გამხდარხარ მწვანეების წევრი? — ბავშვობიდან.

— ადამიანები, ვინც თავის თავს, მწვანეებს უწოდებენ, ჩემი ღრმა რწმენით, ყოველთვის და ყველგან, ბალიდან, ყველა ეს ქვეყანაში არსებობდნენ. ეს ადამიანების მთავარი თვისება, როგორც ეს ტერმინი, არის მსოფლიოში შენ ბალი ბალიდან, ეს ადამიანები ბალიდან ბალიდან, ეს ადამიანები ბალიდან ბალიდან, ეს ადამიანები ბალიდან

რა მოგვდის, ანუ...

„იბერია“ მაინც ჩემპიონია

საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატის ბოლო ტური, როგორც გულშემატკივრებმა იციან, სამშაბათს გაიმართა, მაგრამ ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა... ჯერ კიდევ იმდენი რამე არის გაურკვეველი, რომ სატურნირო ცხრილის გამოქვეყნებას, რაღა თქმა უნდა, არავითარი აზრი არა აქვს... განსაკუთრებით ბუნდოვანია სიტუაცია ცხრილის ბოლოში და ასევე გაურკვეველი მდგომარეობაა პირველი ჯგუფის ლიდერებს შორისაც...

შეიძლება ბევრი შემომედავოს, მაგრამ იმდენი დარღვევები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში (ყველა ჯგუფში) ხდება, ძალიან ბევრს „შეშურდება“ კიდეც... თან ერთი ფრიად საგულისხმო მომენტიც არის გასათვალისწინებელი, რომელმაც, სამწუხაროდ, ერთობ მავნე ტენდენციის სახე მიიღო და რომლის ანალოგიასაც ვერც ერთი ქვეყნის საფეხბურთო პირველობებში ვერ ვნახავთ...

დიახ, ხდება უწესრიგობები უცხოეთში, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ყოველივე ეს ორივე გუნდის გულშემატკივართა შორის ურთიერთობების გარკვევის გზით ხდება. არსად, არც ერთ ქვეყანაში, არ ყოფილა ამდენი შემთხვევა, რომ მსჯელსა და ფეხბურთელებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, რამდენიც ჩვენთან, საქართველოში. აი, უკვე მეორე წელია „ახალგაზრდა ივერიელი“ ხმას იმაღლებს ამ უმსგავსო მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი უმისამართოდ წარმოთქმული სიტყვებად დარჩა...

ყოველი ტური და ახალ-ახალი არასასიამოვნო ფაქტები... ასე თუ გაგრძელდა, ტრაგედიამდე მივალთ; ტრაგედიამდე, რომელსაც შეიძლება ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვეს.

არადა, ნამდვილად არ უხდება ასეთი შესავალი იმ წერილს, რომელშიც დიდი ადგილი საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატის ღირსეული გამარჯვებულის, თბილისის „იბერიის“ მონაწილეობით გამართულ ბოლო მატჩს უნდა დათმობოდა...

თუმცა, „იბერიამ“ რა დააშავა? სხვისი არ ვიცი, მაგრამ ამ სტრიქონების ავტორს პირველი ტურებიდანვე არ შეპარვია ეჭვი, რომ შარშანდელი ჩემპიონი წელსაც ღირსეულად შეინარჩუნებდა ამ საპატიო წოდებას. მაღალი სათამაშო დისციპლინა, ასევე მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, საკმაოდ სტაბილური შემადგენლობა, სათადარიგოთა „გრძელი“ სკამი, მაღალ დონეზე დაყენებული სამწვრთნელო პროცესი — აი, ყოველივე ის, რამაც განაპირობა კიდევაც „იბერიის“ უპირატესობა სხვა გუნდებთან. მათ მიერ ჩატარებული თითქმის ყოველი მატჩი თითოეული ფეხბურთელის მაღალი კლასის მაჩვენებელი გახლდათ; თითქმის ყოველ შეხვედრაში ისინი გამარჯვების წყურვილით გამოდიოდნენ მოედანზე (ასე იყო ზესტაფონშიც, მაგრამ, რომ არა ფრე, რა მოხდებოდა, არავინ იცის... თუმცა, ამაზე ცოტა ქვემოთ) და შედეგიც სახეზეა.

„იბერიას“ ჰყავს მეტად საიმედო და პერსპექტიული მეკარე ნიკა ჩხეიძე, დაცვაში გამოცდილ მალხაზ არზაანთან და გოჩა ჩიქოვანთან ერთად, შესანიშნავად თამაშობენ ახალგაზრდა ფეხბურთელები — მამუკა მაჭავარიანი და მურთაზ შელია; ნახევარდაცვისა და თავდასხმის რგოლები კი უძლიერესი ჰყავს საქართველოში: გია ჯიშკარიანი, ზაზა რევიშვილი, გელა ინანიშვილი, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, კახი კაჭარავა, თემურ ქეცბაია, კახი გოგიჩაიშვილი, მიხეილ ყაველაშვილი, ძმები — რევაზ და შოთიკო არეულაძეები — ყველა მათგანი ნებისმიერ მომენტში მზად იყო თავის თავზე აეღო მატჩის სადავეები ან კიდევ დროულად და ზუსტად დაეგვირგვინებინა მეგობრების მიერ წამოწყებული კომბინაცია. აქვე, არ შეიძლება, რომ მათ გვერდით არ აღვნიშნო „იბერიის“ ყოფილი კაპიტანი, ამჟამად კი შვეიცის საფეხბურთო კლუბ „გიფ სუნდსვალის“ მცველი კახი ცხადაძე, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა კლუბის წარმატებაში.

ზემოთ მაღალ დონეზე დაყენებული სამწვრთნელო პროცესი ვახსენე და არც შევმცდარვარ — ისეთ ხუთეულს, რომელიც თბილისის „იბერიას“ უდგას სათავეში, ნებისმიერი გუნდი ინატრებდა. დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, რევაზ ძოძუაშვილი, ნოდარ აკობია, ირაკლი გორგოშიძე — აი, ხალხი, ვისი ხელმძღვანელობითაც „იბერია“ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ახლა კი, ალბათ, დროა, ბოლო ტურის იმ შეხვედრასაც დავუბრუნდე, რომელმაც „იბერიას“ ჩემპიონობა მოუპოვა.

...ზესტაფონში მთელი დღის განმავლობაში მშვენიერი ამინდი იდგა, მაგრამ, სამწუხაროდ, მატჩის პირველ ტაიმშივე კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რამაც, თავისთავად, დაღი დაასვა შეხვედრას. ისე, ერთი რამ იყო გაუგებარი — მატჩის დაწყების დრო რამდენჯერმე გადაიდო — ჯერ 18 საათი იყო, შემდეგ 18 საათი და 30 წუთი, ბოლოს 18 საათი და 50 წუთი... მასპინძლებს ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ზესტაფონის მშვენიერ სტადიონს განათება არა აქვს (როგორც უმრავლეს ქალაქებშია), და ამიტომ მეორე ტაიმში საგრძნობლად ჩამობნელდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ამ შეხვედრის ამსახველი ფოტოების ხარისხი დაბალია, მაგრამ ამინდი კვდეკ არაფერი...

„მარგვეთი“ წლევანდელი გათამაშების დებიუტანტია, მაგრამ პირველი ტურებიდანვე ცხადი იყო, რომ უმაღლეს ჯგუფში გამოჩნდა გუნდი, რომელსაც საკუთარი ხელწერა გააჩნდა და თითქმის მთელი ჩემპიონატი ზესტაფონელი ფეხბურთელები ექვსეულში მოხვედრისათვის იბრძოდნენ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს იმით აიხსნება, რომ წლევანდელი წლის დასაწყისში „მარგვეთის“ სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკაში ერთ-ერთი გამოცდილი და თავისი საქმის ღრმა მცოდნე მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე. ამ მატჩშიც „მარგვეთმა“ საკმაოდ ენერგიულად დაიწყო თამაში და სულ მალე თამაზ გაბრიჭიძის მიერ თავით დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა „იბერიის“ კარს. ორივე გუნდმა პირველი წუთებიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა ერთმანეთს და პირველი ტაიმიც ერთობ სანახაობრივი გამოდგა. „მარგვეთის“ შემადგენლობაში ბევრს აქტიურობდა მალხაზ ლაცაბიძე, რომელიც ხშირად ეხმარებოდა თავის თავდამსხმელებს, მაგრამ, სამწუხაროდ, აქტიურობას მსაჯებთან ურთიერთობის გარკვევაშიც იჩენდა...

სახიფათო მომენტები კი ორივე კართან მრავლად იქმნებოდა და მეკარეებიც, რომ იტყვიან, თავიანთ მაღალ კლასს გვიმტკიცებდნენ. ორივე მათგანი — აკაკი დევაძეც და ნიკა ჩხეიძეც, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესონი რომ არიან, ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. მალე კი „იბერიის“ რიგებიდან ამ შეხვედრაში ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ კახი კაჭარავამ ახლო მანძილიდან პირველი ბურთის გატანაც მოახერხა და თავისი გუნდი დააწინაურა კიდეც. გაშვებული გოლის შემდეგ „მარგვეთი“ მთელი გუნდით გადავიდა შეტევაზე და ერთ მომენტში იმავე კახი კაჭარავამ (რომლის წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ მთელი შეხვედრის განმავლობაში „მარგვეთის“ მცველები) შორეული რეიდი ზუსტი დარტყმით დაამთავრა — 2:0. ამის შემდეგ კი დაიწყო ყველაფერი, რამაც შემდგომ კინაღამ ტრაგიკული ხასიათი მიიღო...

„მარგვეთის“ ფეხბურთელებმა, კერძოდ, მალხაზ ლაცაბიძემ, მიიჩნიეს, რომ გოლამდე წესრიგი დაირღვა და მსაჯსაც მიეჭრნენ. ამ შემთხვევაში, სრულიად სამართლიანად, მატჩის არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ ყვითელი ბარათიც უჩვენა მალხაზ ლაცაბიძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამან უფრო გააღიზიანა და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდა... რა თქმა უნდა, მის წინ წითელი ბარათი აღიმართა (ასევე, სრულიად სამართლიანად) და ტრიბუნებზე სიტუაციაც უაღრესად დაიძაბა. ერთ ნაწილს მინდორზე გადასვლაც უნდოდა (ალბათ, მსაჯთან ანგარიშსწორებისათვის), რომ არა იგივე „მარგვეთის“ ფეხბურთელებისა და, პირადად, ჯონი ჯანელიძის აქტიური ჩარევა, რა მოხდებოდა, ვინ იცის... ამავე დროს დასავლეთ ტრიბუნიდან ქვების წვიმაც წამოვიდა გვერდითი მსაჯის მისამართით, ვითომდა თამაშგარე მდგომარეობა რატომ არ შეამჩნიაო. ერთის თქმა შეიძლება დანამდვილებით — რომ არა მალხაზ ლაცაბიძის გამომწვევი საქციელი, ვფიქრობ, არაფერი მოხდებოდა, არადა, სამწუხაროა, რომ ისეთი გამოცდილი და არცთუ ურიგო ფეხბურთელი, როგორიც მალხაზ ლაცაბიძეა (და რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო „მარგვეთის“ შემადგენლობაში მთელი ჩემპიონატის განმავლობაში), პირველად არ ფიგურირებს ე. წ. უდისციპლინო ფეხბურთელთა სიაში. ასე თუ ისე, პირველი ტაიმი დამთავრდა, მაგრამ მსაჯების გასახდელისაკენ გაცილება თუ რაოდენ ძნელი საქმე იქნებოდა, ეს, ალბათ, გასაგები იქნება მკითხველისათვის. შესვენების დროს ტრიბუნაზე შეძახილებიც გაისმოდა, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ მსაჯს ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ, თვით ჩაქოლვამდეც კი... ზოგიერთი მათგანი (ვითომ ამ ხალხს გულშემატკივარი შეიძლება ერქვას?) თამაშის ჩაშლის სურვილითაც იყო მოსული... საბედნიეროდ, ეს მხოლოდ მცირედი ნაწილი იყო და, ამასთან, საკმარისად აღმოჩნდა ზესტაფონში ობიექტური და მართლაცდა ნაღდი გულშემატკივარი (წესრიგის დამცველების ჩათვლით), რომლებმაც „მხარი—არ აუბეს“ იმ თავხედთა ბრბოს. მე არ ვიცი, ის ერთი ნაწილი რისთვის იყო მოსული, როგორც ადგილობრივი გულშემატკივარი იძახდა, ისინი ზესტაფონელები არ იყვნენ, არამედ სხვა ქალაქის წარმომადგენლები გახლდნენ და სპეციალურად სურდათ თამაშის ჩაშლაო... რა თქმა უნდა, მე ვერ ვიტყვი, რომ ის ნაწილი ლანჩხუთელები იყვნენ (როგორც ამას ზესტაფონელები ამბობდნენ), მაგრამ ფაქტი ერთია — არავის არა აქვს უფლება მსაჯს ფიზიკურად გაუსწოროს ანგარიში და ხალხს მისი ჩაქოლვისათვის (!) მოუწოდოს...

ყოველივე ამის შემდეგ, მეორე ტაიმი, ცხადი იყო, რომ სულ სხვანაირი იქნებოდა... ტემპიც შესამჩნევად დაეცა, მაგრამ ორი ფეხბურთელი მაინც განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა — კახი კაჭარავა და როინ კერძევაძე, რომლებიც, ჩემი აზრით, საუკეთესონი იყვნენ ამ შეხვედრაში. „იბერია“ დინჯად აკონტროლებდა მოედნის შუახაზს და საკმაოდ გააზრებულ კონტრშეტევებსაც ახორციელებდა, რომელთაგან ერთი ზუსტი და ეფექტური დარტყმით დაამთავრა საკმაოდ შორი მანძილიდან მინდორზე ახლად შემოსულმა გიორგი ნემსაძემ. ამ გოლმა თითქოს „გააღიზიანა“ „მარგვეთის“ ფეხბურთელები, თბილისელებიც უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გადავიდნენ და ზესტაფონელებმაც შეუტიეს.. უშეცდომოდ თამაშობდა ნიკა ჩხეიძე, რომელმაც არაერთხელ იხსნა კარი, მაგრამ ორ შემთხვევაში იგი მაინც უძლური იყო დახმარებოდა თავის გუნდს — „იბერიის“ კარში ზედიზედ ორი პენალტი დაინიშნა და ჯერ ივანე ჯუღელმა, შემდეგ როინ კერძევაძემ მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა... თუმცა, პირველი პენალტის შემდეგ, აგრესიულად განწყობილ გულშემატკივართა ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთ ტრიბუნაზე იყო, კვლავ შეეცადა მინდორზე შემოჭრას. კი, მაგრამ, რატომ? — ალბათ, მატჩის ჩასაშლელად; მე სხვა აზრს ვერ ვხედავ... ისევ და ისევ „მარგვეთის“ ფეხბურთელების, მათი ხელმძღვანელებისა და წესრიგის დამცველების წყალობით ეს არ მოხდა და თამაშიც გაგრძელდა. მატჩის ბოლო ხუთი წუთი კი ბურთი თბილისელთა საჯარიმოს არ ტოვებდა და ჩხეიძის შესანიშნავმა თამაშმა არაერთხელ დაიმსახურა ზესტაფონელ ქომაგთა ტაში. ერთ შემთხვევაში კი რაოდენ ტოგონიძის უძლიერესი დარტყმა ზედა ძელმა „მოიგერია“. მაგრამ „მარგვეთმა“ მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება—მატჩის ბოლოს წამზე(!) მერაბ ხუჯაძემ მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს ზუსტად შეურჩია ადგილი და აუღელვებლად გაგზავნა „იბერიის“ კარში. იქვე მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა და რაოდენ სასიამოვნო სანახავი იყო, თუ როგორ ულოცავდნენ „მარგვეთის“ ფეხბურთელები და ხელმძღვანელობა თავიანთ თბილისელ კოლეგებს საქართველოს ჩემპიონობას. მაყურებელმაც ღირსეულად შეაფასა და ასევე მჭუხარე ოვაციებით შეეგება საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატის გამარჯვებულებს. ქომაგთა „ემოციური“ ნაწილი კი კვლავ მსაჯებთან „შეხვედრას და საუბარს“ ცდილობდა, მაგრამ, საბედნიეროდ, კლუბის ხელმძღვანელობამ და მილიციის მუშაკებმა ყველაფერი იღონეს, რომ ეს „საინტერესო დიალოგი“ არ შემდგარიყო.

როგორც ხედავთ, ამ დღეს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა (თუ ამას მშვიდობიანობა ჰქვია), რაშიც, ჩემი აზრით, „იბერიის“ ფეხბურთელთა გუნდსაც მიუძღვის წვლილი, მაგრამ, არის კი იმის გარანტია, რომ შეხვედრის მთავარ მსაჯს სერგო კვარაცხელიას (საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრს) კიდევ ვიხილავთ მწვანე მინდორზე? ან იქნება იკითხოს ვინმემ, რატომ აღარ მსაჯობს ასევე მაღალი კვალიფიკაციის არბიტრი გაგრიდან ვლადიმერ შელია? როცა შენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება (სრული სერიოზულობით ვამბობ ამას), ადამიანმა შეიძლება თავის საყვარელ პროფესიას თავი აარიდოს კიდეც... გამოსავალი კი ისევ და ისევ წესრიგში და კანონის უზენაესობაშია. ალბათ, საჭირო იქნება, რომ მილიციის წარმომადგენლების რიცხვიც ერთიორად გავზარდოთ, რომ მათ ეროვნული გვარდიაც ამოუდგეს მხარში, თორემ ტრაგედიამდე მივალთ. ტრაგედიამდე, რომელმაც შეიძლება „ეიზელისა“ და „ჰილსბოროს“ სტადიონებზე მომხდარი საშინელებანი გადაწონოს....

ბია ტუხაშვილი,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

სურათზე: „იბერიისა“ და „მარგვეთის“ ფეხბურთელები საფინალო სასტვენის შემდეგ.

ლიდერთა მატჩი

ისევე, როგორც უმაღლეს ჯგუფში, ძალზედ გაურკვეველი და ბუნდოვანი სიტუაცია შეიქმნა პირველ ჯგუფშიც, სადაც მთელი ჩემპიონატის განმავლობაში პირველი ადგილისათვის ორი სამაოდ მაღალი კლასის გუნდი (რომლებიც, ვფიქრობთ, მათზე მაღალ ჯგუფში მოასპარეზე ბევრ გუნდებს არ ჩამოუვარდებიან), თბილისის „მრეტები“ და თელავის „კახეთი“ იბრძოდა.

და აი, ბოლო ტურში სწორედ ეს ორი კოლექტივი შეხვდა კიდეც ერთმანეთს. წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ „მრეტები“ ამ მატჩში მხოლოდ პირობითად თუ იყო მასპინძელი, რადგანაც ავლაბრის სტადიონი თელაველი გულშემატკივრებით იყო გადაჭედილი. მთელი შეხვედრის განმავლობაში თელაველი გულშემატკივრები ომახიანად ქომაგობდნენ თავიანთ საყვარელ გუნდს და ამ უკანასკნელებმაც ისინი არ გააწბილეს.

პირველი ტაიმის დაწყებიდანვე „კახეთის“ უპირატესობა აშკარა იყო, რაც, პირველ რიგში, მათი ნახევარმცველების გააზრებული თამაშით გამოიხატა. მოედნის შუაგულის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ დავით სანიკიძე და ვარლამ კილასონია, რომლებიც თვითონაც ხშირად ლაშქრავდნენ მეტოქის კარს და პარტნიორებსაც დროულად სამარაგებდნენ ზუსტი გადაცემებით. შესანიშნავად თამაშობდა მარცხენა ფრთაზე სოსო ბაბულაიძე, რომლის ხშირ რეიდებს ყოველთვის უსიამოვნება შეჰქონდა „მრეტების“ საჯარიმოში. ასევე საუცხოოდ თამაშობდა ენერგიული და საკმაოდ ტექნიკური ფორვარდი გოჩა ჭვრიტიძე, რომელმაც პირველი ტაიმის შუაგულში მეტად ეფექტური ბურთი გაიტანა თავით. თუმცა, იქამდე, ვარლამ კილასონიამ გამოიჩინა თავი, რომელმაც შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კილასონია ამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო და ასეთი ფეხბურთელი უმაღლესი ჯგუფის ნებისმიერ გუნდსაც დაამშვენებდა.

მეორე ტაიმშიც „კახეთის“ უპირატესობა აშკარა იყო და ვარლამ კილასონიამ პენალტით მესამე გოლი გაიტანა „მრეტების“ კარში.

რაც შეეხება „მრეტებს“, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მოედანზე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე გამოვიდნენ და, სხვათა შორის, სწორედ ამის გამო გუნდის მენეჯერი ირაკლი ქავთარაძეც ვიხილეთ მოედანზე... თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება „მრეტებიდან“, ალბათ, სწორედ ქავთარაძე გახლდათ და მისი ორი სრულიად ახალგაზრდა თანაგუნდელი — დავით გოდერძიშვილი და ლევან ზირაქაშვილი. სწორედ ამ უკანასკნელმა შესძლო კიდევაც ერთადერთი პრესტიჟის გოლის გატანა „კახეთის“ კარში. მოლიანობაში, კიდევ ვიმეორებთ, თელავის „კახეთმა“ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა კიდევაც. მსჯობაც ერთობ კვალიფიციური იყო და ამაში გასაკვირვი არც იყო, რადგანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ძალზედ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ამ მატჩის ჩატარება გამოცდილ არბიტრებს — მერაბ ბალაღურაძეს, ოთარ გუნთაძესა და მერაბ ჭელიძეს მიანდო.

თეიმურ ხვანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებები

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახ. ლოგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

სწავლება წარმოებისაგან მოწყვეტით.

ზოგადტექნიკურ ფაკულტეტზე, რომლის ორი კურსის დასურვისა და საატესტაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ გადაყვანილი იქნებიან შესაბამის სპეციალურ ფაკულტეტებზე:

I. ავტომექანიკურ ფაკულტეტზე

1. შიგაწვის ძრავები (15).
2. ავტო და ტრაქტორმშენებლობა (15).
3. ამწე-სატრანსპორტო, სამშენებლო, საგზაო მანქანები და მოწყობილობა (20).

II. მანქანათმშენებლობისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის ფაკულტეტზე

4. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (15).
5. საჩამომსხმელო წარმოების მანქანები და ტექნოლოგია (15).
6. ლითონნების წნევით დამუშავების მანქანები და ტექნოლოგია (15).
7. საშემდუღებლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია (15).
8. მანქანების დინამიკა და სიმტკიცე (15).
9. მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა (15).
10. ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების ავტომატიზაცია (15).
11. ჰიდროელექტრო ენერგეტიკა (20).
12. სამრეწველო ელექტრონიკა (15).

III. კვების მრეწველობისა და ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე

13. ხის დამუშავების ტექნოლოგია (25).
14. კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები (20).
15. პურის, მაკარონის, საკონდიტრო ნაწარმისა და კვების კონცენტრატების ტექნოლოგია (15).
16. საზოგადოებრივი კვების პროდუქტების ტექნოლოგია (25).
17. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება (20).
18. პლასტიკური მასებისა და ელასტომერების გადამუშავების ტექნოლოგია (20).

IV. მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ფაკულტეტზე

19. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა (15).
20. გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (15).
21. ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ტექნოლოგია (20).
22. შეკერილი ნაწარმის ტექნოლოგია და კონსტრუირება (ქართული სექტორი — 20, რუსული სექტორი — 15).
23. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია და კონსტრუირება (20).
24. პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგია (15).
25. საფეიქრო, მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანები და აპარატები (15).

სწავლება წარმოებისაგან მოწყვეტლივ დაუსწრებელი სწავლებით თბილისის ფაკულტეტზე

26. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა (9).
27. გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (17).

შენიშვნა: თითოეული სპეციალობის გასწვრივ ნაჩვენებია საკონკურსო ადგილების რაოდენობა;

1-14 და 25-ე სპეციალობებზე შემსვლელები აბარებენ გამოცდებს შემდეგ დისციპლინებში:

1. მათემატიკა (წერა),
2. ფიზიკა (ზეპირი),
3. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა),

ხოლო ყველა სხვა სპეციალობებზე შემსვლელები —

1. მათემატიკა (წერა),
2. ქიმია (ზეპირი),
3. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

დაუსწრებელ სწავლებაზე შემსვლელები გამოცდებს აბარებენ იმავე საგნებში, რაშიც დღის სტაციონარზე შესაბამის სპეციალობებზე შემსვლელი აბიტურიენტები.

აბიტურიენტებმა განცხადებას უნდა დაურთონ: საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი, 6 ცალი ფოტოსურათი (3X4 ზომის), სამედიცინო ცნობა (ფორმა 086), შრომის წიგნაკის ამონაწერი (მუშაობის სტაჟის მქონენი). აბიტურიენტები პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი) ან მიწერის მოწმობას წარადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება 1991 წლის 25 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე, კვირა დღის გარდა, შემდეგ მისამართზე: ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 92. მისაღები გამოცდები იწარმოებს იმავე მისამართზე 17 ივლისიდან 1 აგვისტომდე, ჩარიცხვა 5 აგვისტომდე.

ინსტიტუტში ჩარიცხვა იწარმოებს 1991 წლის 18 აპრილის ახალგაზრდა ივერიელში გამოქვეყნებული მიღების წესების შესაბამისად.

ინსტიტუტის მასწავლებლები 25 ივნისიდან 15 ივლისამდე ჩაატარებენ კონსულტაციებს საგამოცდო საგნებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას (ტელეფონი 3-14-73).

ინსტიტუტის მისამართია: 384014, ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 92.

მიმღები კომისია.

ბიწვევთ საინჟინრო-ეკონომიკური განათლების მისაღებად

მუშაობას იწყებს სრულიად საქართველოს საზოგადოება „თანადგომა და ამაღლება“-სთან დაარსებული დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის კომერციული საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომლის საქმიანობა წარმართული იქნება საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების შესაბამისი პროფილის უმაღლესი სკოლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად, აგრეთვე, საზღვარგარეთელ პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით. მოწინავე სტუდენტები წინასადიპლომო პრაქტიკას გაივლიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, თურქეთსა და ისრაელში. ინსტიტუტი იქნება მცირე მოცულობის — განზრახულია სტუდენტთა რაოდენობა I-IV კურსებზე იყოს არაუმეტეს 1500-სა. ინსტიტუტში სწავლება ქართულ ენაზეა. სწავლების ვადა 5 წელია. სწავლება ფასიანია.

ინსტიტუტი ამზადებს საშენმასალათა მრეწველობისათვის, მშენებლობისათვის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობისათვის, კვების მრეწველობისათვის, ტრანსპორტისათვის, კავშირგაბმულობისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, საქალაქო მეურნეობისათვის, ჯანმრთელობის დაცვის, ტურიზმისა და და კურორტებისათვის, სამთო ქიმიისა და სატყეო კომპლექსისათვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და შრომის ბირჟისათვის ინჟინერ-ეკონომისტებს. კურსდამთავრებულნი დაუფლებული იქნებიან შესაბამისი დარგისა და დარგის საწარმოთა ორგანიზატორისათვის საჭირო ცოდნას — დიდ, საშუალო და მცირე საწარმოთა ეკონომიკას, მართვის თეორიას, მართვის ავტომატიზირებულ სისტემებს, ტექნიკა-ტექნოლოგიას, საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას, მართვის სამართლებრივ საფუძვლებს, თანამედროვე მენეჯმენტის, საბაზრო ეკონომიკისა და მარკეტინგის საფუძვლებს, აგრეთვე, ორ უცხო ენას (სტუდენტის სურვილის მიხედვით ინგლისურს, გერმანულს, თურქულს. ან ებრაულ ენებს).

ინსტიტუტში I კურსზე სტუდენტებად მიიღებიან სკოლა ან საშუალო სპეციალური, ხოლო II ან III კურსებზე უმაღლესი განათლების, ქართული ენის მცოდნე პირები (მათ შორის უცხოელებიც) მიუხედავად მათი ეროვნებისა, რასისა, სქესისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, რელიგიური მრწამსისა და ასაკისა, მისაღები გამოცდების გარეშე გასაუბრების ჩატარების, კონტრაქტის გაფორმებისა და პირველი წლის სწავლის ქირის გადახდის შემდეგ. ინსტიტუტი დიდი, საშუალო და მცირე საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ინჟინერ-ეკონომისტებს ამზადებს კოოპერაციული და კერძო საწარმოთა, აგრეთვე, საქველმოქმედო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა დაკვეთითაც.

აბიტურიენტებთან და მათ მშობლებთან შეხვედრა მოეწყობა 5 ივლისს, 12 საათზე ინსტიტუტის საარქო დარბაზში).

აბიტურიენტთა საბუთების მიღება იწარმოებს 10 ივლისიდან 10 აგვისტომდე ყოველდღე (გარდა ორშაბათისა და კვირისა) 12-დან 16 სთ-მდე, აბიტურიენტებთან გასაუბრება და კონტრაქტების გაფორმება 12 აგვისტოდან 17 აგვისტომდე; სწავლება დაიწყება 1 ოქტომბერს.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ რექტორატს, სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს 12-დან 16 სთ-მდე.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, ფალიაშვილის 42, ტელეფონები: 22-31-23, 38-27-20, 37-55-20.

რექტორატი

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლტოლვილი ნაწილი ქ. გორში

აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დღის და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე (აქვე ვუთითებთ ჩასაბარებელ საგნებს):

დღის განყოფილებაზე:

ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია

ა) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა
ბ) ქართული ენა და ლიტერატურა — ზეპირი
გ) საქართველოს ისტორია — ზეპირი

დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა

ა) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა
ბ) მათემატიკა — ზეპირი
გ) საქართველოს ისტორია — ზეპირი

პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (სკოლამდელი აღზრდა)

ა) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა
ბ) ქართული ენა და ლიტერატურა — ზეპირი
გ) ბიოლოგია — ზეპირი

ბიოლოგია და ქიმია

ა) ბიოლოგია — წერა
ბ) ქიმია — ზეპირი
გ) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა

მათემატიკა და ფიზიკა

ა) მათემატიკა — წერა
ბ) ფიზიკა — ზეპირი
გ) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა

შრომა, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა

ა) მათემატიკა — წერა
ბ) ფიზიკა — ზეპირი
გ) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა

ფიზიკური აღზრდა

ა) საერთო ფიზიკური მომზადება (ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში)
ბ) ბიოლოგია — ზეპირი.
გ) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა

დაუსწრებელ განყოფილებაზე:

ქართული ენა და ლიტერატურა

ა) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა
ბ) ქართული ენა და ლიტერატურა — ზეპირი
გ) საქართველოს ისტორია — ზეპირი

ისტორია

ა) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა
ბ) ქართული ენა და ლიტერატურა — ზეპირი
გ) საქართველოს ისტორია — ზეპირი

დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა

ა) ქართული ენა და ლიტერატურა — წერა
ბ) მათემატიკა — ზეპირი
გ) საქართველოს ისტორია — ზეპირი

ინსტიტუტში შემსვლელთა განცხადებები მიიღება მხოლოდ ხამიჩაბლოს რეგიონში (ყოფილი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი). მცხოვრები ამ რეგიონიდან ლტოლვილი აბიტურიენტებისაგან.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086) 3. ექვსი ფოტოსურათი (ზომა 3X4) 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (სტაჟის მქონეთათვის), დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი, ბეჭდით დამოწმებული და რეგისტრირებული. 5. პასპორტს და სამხედრო ვალდებულების დოკუმენტს შემსვლელნი წარადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 15 ივლისამდე (ჩათვლით) 10-დან 16 საათამდე. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 5 აგვისტოდან. ჩარიცხვა განხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1991 წლის 15 აპრილის № 162 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების“ საფუძველზე. (იხ. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 18-04-91 წ.)

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის მიმღებ კომისიას. მისამართი: გორი, ჭავჭავაძის 57, ეკონომიკური ინსტიტუტის III კორპუსი.

მიმღები კომისია.

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო ქ. თბილისის № 79 სპტ სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საშუალო სკოლის ბაზაზე:

1. ელექტრო მოწყობილობების მომსახურე ელექტრომონტიორი, (მოსწავლეები სწავლების პერიოდში შეისწავლიან საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ელ. დანადგარების მომსახურებას)
2. სამკერვალო წარმოების ოპერატორი (მკერავი)
3. მექანიკურ-სამუშაოთა ამწეყობი ზეინკალი
4. მდივან-მემანქანე (ქართული სექტორი)
5. სამედიცინო აპარატურების მომსახურე პერსონალი

სწავლების ვადა მდივან-მემანქანეების 8,5 თვეა, ხოლო დანარჩენ პროფესიებზე 10 თვე. აჩასრულ საშუალო სკოლის ბაზაზე:

1. სამკერვალო წარმოების ოპერატორი (მკერავი)
2. სამკერვალო წარმოების ზეინკალ-შემკეთებელი.

სწავლების ვადა 3 წელია. სწავლება ქართულ და რუსულ ენებზეა. სასწავლებელში თბილისის გარდა, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან მიიღებიან ის პირები, რომელთაც ექნებათ მრეწველობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოს თუ ორგანიზაციის მიმართვა (საგზური), ხოლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ისინი გაიგზავნებიან სამუშაოდ შესაბამის რაიონებსა და საწარმოებში.

სწავლების პერიოდში ტექნიკური ჯგუფის მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია საერთო წესის მიხედვით, ფრიადოსნებს დაემატებათ სტიპენდიის 25%, გარდა ამისა, დაემატებათ საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50 %.

სწავლების პერიოდი ითვლება შრომის სტაჟად. სამწლიანი სწავლების მთელ პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით.

სასწავლებელში მოქმედებს შემდეგი წრეები: ფეხბურთის, კალათბურთის, შაშის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის.

გოგონები დამატებით შეისწავლიან: კერვას, ხელით ქარგვას, მანქანაზე ქარგვას, კულინარიას, დეკორატიულ ხელოვნებას და მაკრამეს.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. სრული ან არასრული საშუალო განათლების ატესტატი (დედანი)
2. დაბადების მოწმობა (დედანი);
3. სამედიცინო ცნობა № 286.
4. ავტობიოგრაფია.
5. ფოტოსურათი (3X4).
6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა უნდა წარმოადგინონ პირადად.

საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 17 საათამდე. სასწავლებლის მისამართია: პირველი მაისის რაიონი, დიღმის მასივი, გამწვანების დასახლება, ტრანსპორტი: მეტრო „დიდუბიდან“ ავტობუსები: № 1, 43, 60, 53, 210, 158, 151.

სამარშრუტო ტაქსები: № 44, 41, ტროლეიბუსი № 19. გაჩერება „მიონი“. ტელეფონი: 51-68-97.

დირექცია

მოსკოვის საერთაშორისო ჰუმანიტარული აკადემია „ჰარმონია“

მოსკოვის საერთაშორისო ჰუმანიტარული აკადემია „ჰარმონია“, მრავალდარგოვანი კოოპერატივი ინტერკონტაქტი აწყობს მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე მსმენელთა ჩარიცხვას ბიოენერგეტიკის თეორიაზე „ექსტრასენსორიკი, სასურველია სამედიცინო განათლების მქონე პირები“. კურსის დამთავრებულებს შეეძლებათ ასწავლონ და თავად გამოიყენონ დიაგნოსტირება, ფანტომზე, სურათებზე და სახელზე მუშაობის თეორია.

სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

ჩარიცხვა იწარმოებს ყოველდღე 57-ე საშუალო სკოლის შენობაში, 2 საათიდან 6 საათამდე, ფალიაშვილის ქ. № 42, სწავლებას წარმართავს საერთაშორისო ჰუმანიტარული აკადემიის ვიცეპრეზიდენტი სერგო ფეოდორის ძე ავერინი. კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული აკადემია „ჰარმონიის“ დიპლომს.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და სოციუზრუნველყოფის სამინისტროს თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი

დამატებით აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის მეორე კურსზე (საშუალო სკოლის ბაზა; წარმოებისაგან მოწყვეტით), ბებიაქალის სპეციალობაზე, ქართული სექტორი.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება.

სათანადო ფორმის განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაერთოს დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა ფორმა 086 უ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ადმინისტრაციის მიერ დამოწმებული), 5 ფოტოსურათი (3X4). შემსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი.

შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

1. ქართული ენა და ლიტერატურა — წერა
2. ბიოლოგია — ზეპირი

საბუთები მიიღება 15 ივლისამდე, ყოველდღე, 16 საათიდან 20-საათამდე (კვირის გარდა). მისაღები გამოცდები 15 ივლისიდან.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის მიმღებ კომისიას.

ლორძინება ერგო

6

ევროპის ხალხთა ორგან. საქველმოქმედო ასოციაცია „ლორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „ერგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივი «ბიოტრონი» გთავაზობთ

თქვენი სილამაზე თქვენს ხელთაა!!!

ნებისმიერ ქალს ძალუძს გახდეს მშვენიერი და მიმზიდველი, თუ იგი ყურადღებას მიაპყრობს საკუთარ გარეგნობას.

საზღვარგარეთ არსებული უამრავი კოსმეტიკური საშუალებანი დროის ნებისმიერ მონაკვეთში ხელმისაწვდომია ქალისათვის და მის მუდმივ აქსესუარებში შედის.

კანის ზედაპირს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ ობიექტებს შორის, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ, რამეთუ ქალის ერთგვარ სავიზიტო ბარათად გვევლინება. კანის სისუფთავე, ფერი, სიფაქიზე თქვენს ასაკზე, ხასიათზე, შინაგან კულტურასა და სულიერ განწყობილებაზე მეტყველებენ. ულტრაიისფერი სხივებისა და მატონირებელი კრემის გამოყენებით შესაძლებელია კანის ფერის გამუქების მიღწევა. თუ გსურთ განთავისუფლდეთ არასასურველი ნაოჭებისაგან, ალბათ მიმართავთ სახის მასაჟს ან შესაბამის კოსმეტიკურ ნიღაბს. მაგრამ თუ კანის ზედაპირზე გაგიჩნდათ მცირეოდენი ზედმეტი თმა? რას მოიმოქმედებთ? მიმართავთ კოსმეტოლოგს? დროის დეფიციტს მეტნაკლებად ყველა განვიცდით. და რაც არასაკლებ მნიშვნელოვანია, ვცხოვრობთ საშინელი ინფექციების პერიოდში.

განვითარებულ ქვეყნებში გამონახეს გამოსავალი. მსუბუქი, პორტატული, გამოსაყენებლად მარტივი ინდივიდუალური ხმარების ეპილატორი, რომლის მუშაობას საფუძვლად უდევს ელექტროლიზის პრინციპი. ამ შემთხვევაში ელექტროლიზი არის მცირე დენები. პრაქტიკულად 100%-იანი ეფექტი. დამუშავების შედეგად არავითარი კვალი და ორგანიზმისათვის არავითარი გართულება.

ამგვარად, პირველად ჩვენს პრაქტიკაში სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივ „ბიოტრონის“ თანამშრომელთა მიერ შექმნილია ხელსაწყო-ინდივიდუალური ხმარების ეპილატორი „მიკრონ-1000მდ“, რომელიც ყველა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს პასუხობს.

მან გაიარა გამოცდის რთული გზა საქართველოს რესპუბლიკისა და სსრკ ჯანდაცვის სამინისტროსა და სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტში, როგორც მაღალეფექტური სამედიცინო ხელსაწყო.

ეპილატორი „მიკრონ-1000მდ“ პრაქტიკულად ერთადერთი სამედიცინო ხელსაწყოა, შექმნილი და დამზადებული საქართველოში, რომელმაც წარმატებით გაიარა რთული გამოცდის ყველა ეტაპი, რის საფუძველზეც „ბიოტრონმა“ მიიღო ოფიციალური ლიცენზია წარმოებისათვის.

იგი მეტად საიმედოა, გამოირჩევა კონკურენტუნარიანობით, ხმარებაში იმდენად მარტივია, რომ მისი გამოყენება სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს. ინსტრუქციის ყურადღებით გაცნობისა და ცოტაოდენი პრაქტიკის შეძენის შედეგად მიაღწევთ 100%-იან ეფექტს ანუ კანის ზედაპირის სისუფთავე გარანტირებული გექნებათ.

ანალოგიურია ამერიკული ფირმა „ჯენერალ მედიქლ კორპორეიშნ“-ის მიერ დამზადებული ინდივიდუალერი ხმარების ეპილატორები. მათი კონსტრუქცია — მათ შორის „მიკრონ-1000მდ“ — ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისით ჯგუფური კოსმეტიკური პრაქტიკის ჩატარების შესაძლებლობას გამორიცხავს და განკუთვნილია მხოლოდ პირადი, ინდივიდუალერი ხმარებისათვის.

ხელსაწყოს მუშაობის საგარანტიო ვადა შიდა კვების წყაროს გამოუცვლელად 1 წელია.

1 ცალის ფასი 125 მან.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს (სააფთიაქო სამმართველო, სამ. ტექნიკის სამმართველო, სხვა ორგანიზაციებსა და კოოპერატივებს) ვთავაზობთ საბითუმო შესყიდვას ღირებულების 10-20%-იანი დათმობით. შესასყიდი ხელსაწყოს მინიმალური რაოდენობაა 500ც.

პარტიების რაოდენობა შეზღუდულია.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონით — 22-70-90.

კერძო მყიდველებისთვის კი გთავაზობთ მაღაზიათა სრულ სიას:

ეპილატორის შეძენა შეგიძლიათ საქართველოს რესპუბლიკის ქვემოთ ჩამოთვლილი ქალაქების უნივერმაღებსა და პარფიუმერიის მაღაზიებში

თბილისი

1. ცენტრალური უნივერმაღის პარფიუმერიის სექცია — მარჯანიშვილის ქ.
2. ცენტრალური უნივერმაღი „მოსკოვი“ — მოსკოვის გამზირი
3. უნივერმაღის №20-რკინიგზის სადგურის მიწისქვეშა გასასვლელი.
4. უნივერმაღის ფილიალი №2 საჩუქრების მაღაზია — ქეთევან წამებულის გამზირი (ყოფ. შაუმიანის ქ).
5. „ბავშვთა სამყაროს“ პარფიუმერიის სექცია — რკინიგზის სადგურთან
6. საჩუქრების მაღაზია №1 — თავისუფლების მოედანი
7. საჩუქრების მაღაზია №2 — მარჯანიშვილის მოედანი
8. პარფიუმერია გალანტერეას მაღაზია №6 — კოლმეურნეობის მოედანზე
9. პარფიუმერიის მაღაზია №30 — კგამსახურდიას გამზ. (ყოფ. პეკინის ქ).
10. პარფიუმერიის მაღაზია №3 — ფილარმონიის მიწიქვეშა გასასვლელი
11. პარფიუმერიის მაღაზია №34 — კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გასასვლელი
12. პარფიუმერიის მაღაზია №109 — თავისუფლების მოედანი
13. პარფიუმერიის მაღაზია №95 — რუსთაველის გამზირი
14. პარფიუმერიის მაღაზია №94 — მარჯანიშვილის მოედანი
15. პარფიუმერიის მაღაზია №88 — დაღმაშენებლის გამზირი
16. პარფიუმერიის მაღაზია №98 — დაღმაშენებლის გამზირი (ყოფილი მარქსის მოედანი)
17. მაღაზია „სუვენირი“ — რუსთაველის გამზირი.

ბათუმი

1. უნივერმაღი „ბავშვთა სამყარო“ — ერთობის ჭუჭა (ყოფ. ლენინის ქ.)
2. ცენტრალური უნივერმაღის პარფიუმერიის და გალანტერეის სექცია
3. პარფიუმერია გალანტერეას მაღაზია №31 — თურქეთის საკონსულოს წინ.

ქუთაისი

ცენტრალური უნივერმაღი „მაია“

გორი, რუსთავი

ცენტრალური უნივერმაღი.

სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივი „ბიოტრონი“ შესაბამის ორგანიზაციებს სთავაზობს საკუთარ სამეცნიერო-კვლევით ნაშუშევრებს:

1. ადამიანთა ფსიქოლოგიური ტესტირების სისტემა პრაქტიკულად ნებისმიერი კომპიუტერის ბაზაზე, კლასიკური ტესტების გამოყენების ადამიანის თავის ტვინის მდგომარეობის გამოკვლევისა და პროფორიენტაციისათვის.
2. 8 და 16 არხიანი ენცეფალოსკოპის კომპიუტერ IBM/AT ბაზაზე ადამიანის თავის ტვინის აქტიობის, ეცეფალოგრამის სადღეღამისო ჩაწერითა და ანალიზირების საშუალებით (რიტმების დიფერენცირება, სტატისტიკური, ბერგ-ფურიე ანალიზები და სხვა). ანალოგიური ხელსაწყოს ღირებულება საზღვარგარეთ 50000-100000 ამერიკული დოლარია.
3. მრავალარხიანი ელექტრო კარდიოსკოპი კომპიუტერ IBM/AT ბაზაზე, შესაბამისი ანალიზირების საშუალებით.

შესრულების ვადა 5 თვე.

საკონტაქტო ტელეფონი 22-70-90.

ხალვაზრდა ქართველი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

ბაზეთი ბამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.